ხელშეკრულება № 2014/49

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

თბილისი 14 ნოემბერი 2014 წ.

სსიპ „სმართ ლოჯიკი", შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენილი დირექტორის მალხაზ სხირტლაძის სახით და სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი", შემდგომში წოდებული ,,მიმწოდებლად", მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ნუგზარ კაკულიას სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 15 იანვრის №33 განკარგულების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1 გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" - პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. „ინსპექტირება" - ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

2 ხელშეკრულების საგანი

ეფექტური კომუნიკაციისა და მომსახურების ტრენინგი (CPV-80500000).

3 ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 3,000.00 (სამი ათასი) ლარს.

3.2. შემსყიდველის ერთი თანამშრომლის ტრენინგის ღირებულება შეადგენს 200,00 (ორასი) ლარს.

3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4 მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს შემსყიდველის 15 თანამშრომლისათვის ეფექტური კომუნიკაციისა და მომსახურების ტრენინგის ორგანიზება 2014 წლის 15 და 16 ნოემბერს (10:00სთ-დან 17:00სთ-მდე), მიმწოდებლის მისამართზე, თბილისი, სანდრო ეულის ქ3ა.

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულების კონტროლი, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ხელშეკრულების კონტროლის განხორციელების დროს.

5.2. კონტროლს განახორციელებენ სსიპ „სმართ ლოჯიქის" ადამიანური რესურსების მართვის მეწეჯერი ნანა კიპაროიძე, ტექნიკური მხარდაჭერის დეპარტამენტის უფროსი თეწგიზ თიკანაშვილი და ეკონომიკური სამსახურის ლოჯისტიკის სპეციალისტი ზურაბ ჯანიაშვილი, რომლებიც უფლებამოსილები არიან ინსპექტირება განახორციელონ როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლივად.

5.3. შემსყიდველის მიერ კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

5.4. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება ხარვეზი გაწეულ მომსახურებაში, მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოასწოროს წუნი.

6 მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

7 ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად;

გ) დაფინანსების წყარო - 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორების განხორციელების ბოლო ვადა გადაიწევს მომდევნო სამუშაო დღეს.

8 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

9 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურების გაწევის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულების 5.4 პუნქტით განსაზღვრული წუნის გამოსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ასეთ შემთხვევაზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

9.3. წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.02%-ის ოდენობით.

9.4. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11 დავების გადაწყვეტა

11.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12 ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულებისთავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

14 ფორს-მაჟორი

14.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

14.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

15 სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი - შემსყიდველს.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

სსიპ „სმართ ლოჯიქი",
წარმოდგენილი დირექტორის
მალხაზ სხირტლაძის სახით,

მისამართი: თბილისი, გორგასლის ქ. 24ა,
ტელეფონი: 240 51 60,
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ. №GE24NB0330100200165022,
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22,
სკ - 206350599

მიმწოდებელი:

სსიპ „ საქართველოს იუსტიციის სასწავლოცენტრი"
წარმოდგენილი დირექტორის მოვალეობის
შემსრულებლის
წუგზარ კაკულიას სახით,
მისამართი: ქ. თბილისი სანდრო ეულის ქ. 3ა,

საბანკო რეკვიზიტები:
ანგ.№GE62BG0000000522975000,
სს „საქართველოს ბანკი", კოდი: BAGAGE22,
სკ- 204423230

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

2014 წლის „14“ „ნოემბერი“

ვადასტურებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, ეფექტური კომუნიკაციისა და მომსახურების ტრენინგის სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრთან“ ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

სსიპ „სმართ ლოჯიქის“ დირექტორი ---------- მალხაზ სხირტლაძე

სსიპ „სმართ ლოჯიქის“ იურისტი ---------- რობერტ მაღლაკელიძე

სსიპ „სმართ ლოჯიქის“ ეკონომიკური სამსახურის უფროსი ---------- ირაკლი ბალიაშვილი